ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ძ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.11.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 088/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №...././

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ძ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2013 წლის აგვისტოში მიმართა ადვოკატ ნ. კ.-ს, რათა მას დაეცვა ე. ძ.-ის ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე - ფინანსურ პოლიციაში. საჩივრის ავტორმა 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში გაუფორმა მინდობილობა ადვოკატს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მიითვისა კლიენტისგან მიღებული 1700 (ათას შვიდასი) აშშ დოლარი, რაც როგორც ადვოკატმა განუმარტა, სასამართლო ბაჟის თანხა უნდა ყოფილიყო. აღნიშნული თანხა ადვოკატმა კლიენტს თავისი ბიძაშვილის დ. კ.-ს ანგარიშზე

შეატანინა, რომელიც, ადვოკატმა მის თანაშემწედ გააცნო. ე. ძ.-ის განმარტებით, ადვოკატისთვის გადაცემული თანხა მის საქმის წარმოებას არ მოხმარებია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მის სატელეფონო ზარებს ერთი თვის მანძილზე არ პასუხობდა.

1.5 2018 წლის 17 იანვარს საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საქმის განხილვაში. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი მისმა ნათესავმა დაწერა, ვინაიდან, თავად რუსეთში ცხოვრობდა, განათლება იქ მიიღო და ქართულ ენაზე წერა-კითხვა არ შეუძლია. საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ საჩივრის განხილვისთვის აუცილებელი იყო საჩივრის ავტორის მიერ მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული ქართულად ნათარგმნი საჩივრის წარმოდგენა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მა 2017 წლის 22 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, იგი 2013 წლიდან იცავდა საჩივრის ავტორის, როგორც დაზარალებულის ინტერესებს, საქართველოს პროკურატურის ძველი თბილისის და ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში. მის მიერ ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში რომლებზეც ამჟამად სამართალწარმოების პროცესი გრძელდება.

2.2 ადვოკატის მითითებით, ე. ძ.-მა მას საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 2000 (ორი ათასი) ლარი გადაუხადა, რის შემდეგაც ადვოკატმა დაიწყო კლიენტის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტისთვის სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა არასდროს მოუთხოვია. ადვოკატის თქმით, მან საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ თანხა, რომელსაც ის ითხოვდა კლიენტისგან, ადვოკატის ჰონორარი იყო, მაგრამ ე. ძ.-მა ადვოკატისთვის ჩარიცხულ თანხაზე მაინც სახელმწიფო ბაჟის თანხა მიუთითა, რაც მან ქართული ენის არცოდნით ახსნა. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს მისთვის 1700 (ათას შვიდასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა არ ჩაურიცხავს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, დ. კ. საჩივრის ავტორის საქმეში ასრულებდა არა ადვოკატის თანაშემწის, არამედ თარჯიმნის მოვალეობას, ვინაიდან ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ მისი კლიენტი ქართულად ვერ კითხულობდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. კ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..././, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ე. ძ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 03 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2014 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 17 იანვარს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი მისმა ნათესავმა დაწერა, ვინაიდან თავად რუსეთში ცხოვრობდა, განათლება იქ მიიღო და ქართულ ენაზე წერა-კითხვა არ შეუძლია.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-7 მუხლიდან გამომდინარე, საჩივარი უნდა შეიცავდეს სავალდებულო რეკვიზიტებს, ხოლო ამავე დებულების მე-9 მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.'' ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი ქართულ ენაზე შედგენილია ე. ძ.-ის ნათესავის მიერ და მას არ ახლავს საჩივრის ავტორისთვის გასაგებ რუსულ ენაზე თარგმანი. საპროცესო კოლეგია უთითებს, რომ საჩივრის ავტორისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული ქართულად თარგმნილი საჩივრის გარეშე შეუძლებელია, ობიექტურად დადგინდეს ე. ძ.-ის ნება წარმოდგენილი საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საჩივარი არ არის შედგენილი ე. ძ.-ისთვის გასაგებ ენაზე და არ გააჩნია ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება. ეთიკის კომისიის მიერ ე. ძ.-ს განემარტოს, რომ დისციპლინური წარმოების შეწყვეტა ნიშნავს საჩივარზე წარმოების შეწყვეტას საჩივრის არსებითად განხილვის გარეშე. ე. ძ.-ს უფლება აქვს მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი და ქართულად თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული საჩივრით თავიდან მომართოს ეთიკის კომისიას, რაც საშუალებას მისცემს საპროცესო კოლეგიას ობიექტურად დაადგინოს საჩივრის ავტორის ნება წარმოდგენილი საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-7 მუხლით, მე-9 მუხლის "ზ" ქვეპუნქტით, მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N088/17 ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №...././ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/